

სახელმწიფო შეფასება ქართულ ენაში

I-IV კლასები

რეკომენდაციები

2003 წლის სექტემბრის ბოლოს საქართველოში შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა განათლების სისტემის გარდაქმნის პროექტით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის სახელმწიფო შეფასება მშობლიურ ენაში (I-IV კლასები). სახელმწიფო შეფასებამ გამოავლინა, რეალურად რა ცოდნასა და უნარებს იძენს მოსწავლე ოთხი წლის მანძილზე დღევანდელ სკოლაში. ახალი სასწავლო გეგმების შედგენისას, ოთხწლედის მისაღწევი მიზნების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია არსებული მდგომარეობის ზუსტი სურათის ცოდნა.

სასწავლო პროცესის დეტალური სურათის წარმოდგენის მიზნით შეფასების შედეგები აღიწერა მოსწავლეთა მიღწევის დონეების მიხედვით (საშუალოზე დაბალი, საშუალო, საშუალოზე მაღალი და მაღალი საფეხურები). კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დღეს ქვეყანაში მოსწავლეთა თითქმის ნახევარი წარმოადგენს ე. წ. სუსტსა და ძალიან სუსტ მოსწავლეებს; მიღწევის საშუალო დონეზეა მოსწავლეთა მცირე ჯგუფი; შედარებით დიდ რაოდენობას წარმოადგენენ კარგი და ძლიერი მოსწავლეები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამჟამად სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მიღწევის დონის საშუალოზე მაღალსა და მაღალ საფეხურზე მყოფ მოსწავლეებზე. მიღწევის დონეების მიხედვით მოსწავლეთა ამგვარი პოლარიზაცია დღევანდელ სკოლაში სასწავლო პროცესის დიდ ხარვეზზე მიუთითებს.

ცხადია, ასეთ პირობებში უნდა შემუშავდეს ისეთი სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს მიღწევის საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა რიცხვის გაზრდას და მოსწავლეთა იმ დიდი რაოდენობის შემცირებას, რომელიც საშუალოზე დაბალ საფეხურზე და მის მიღმა იმყოფება. როგორც ცნობილია, სწორედ საშუალო საფეხურზე, სრულყოფილი სასწავლო პროცესის პირობებში, მოსწავლეთა საგრძნობლად დიდი რაოდენობის მიერ მისაღწევი მიზნები ძირითადად დაძლეული უნდა იყოს – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ოთხწლედის დასრულებისას მოსწავლეებს უკვე უნდა ჰქონდეთ განვითარებული საბაზისო უნარები. ამასთანავე არ უნდა იყოს უგულვებელყოფილი და უყურადღებოდ

დატოვებული საშუალოზე მაღალ და მაღალ საფეხურზე მყოფი მოსწავლეების შესაძლებლობა და ინტერესი.

დეტალური სურათის წარმოჩენის მიზნით, მშობლიური ენის სწავლებაში გამოვლენილ ხარვეზებს და მათ გამომწვევ მიზეზებს აღვწერთ იმ სფეროთა მიხედვით, რომლებიც შემოწმდა *სახელმწიფო შეფასებისას*. ესენია: *კითხვა, ლექსიკა, წერა, გრამატიკა*. ლექსიკისა და წერის სფეროთა შემოწმების შედეგები გარკვეული დასკვნების გამოტანისა და რეკომენდაციის მიცემის საშუალებას იძლევა მოსწავლის მეტყველებასთან, საუბართან დაკავშირებითაც. შენიშვნები ხარვეზების გამომწვევი მიზეზებისა და მათი აღმოფხვრის გზების შესახებ ძირითადად უკავშირდება ოთხწლედის **სასწავლო მასალას** მშობლიურ ენაში და **სწავლების მეთოდიკას**, თუმცა ზოგ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია **სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზეც**. შენიშვნები ძირითადად ეყრდნობა მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების სტატისტიკურ ანალიზს, ზოგ შემთხვევაში კი იმ გამოცდილებას, რომელიც მშობლიური ენის *სახელმწიფო შეფასებაზე* ორწლიანი მუშაობის შედეგად – მასწავლებლებთან შეხვედრებისას, საგნის ექსპერტებთან კონსულტაციების დროს, აგრეთვე, უშუალოდ მოსწავლეთა ტესტირების პროცესზე დაკვირვებისას დაგროვდა.

I. კითხვა – ძირითადი ხარვეზები და მათი გამომწვევი მიზეზები

1. *შეფასების* შედეგად გამოიკვეთა, რომ კითხვის სწავლების პირველი ეტაპი – **კითხვის ტექნიკის დაუფლება**, რომელსაც დღევანდელ სკოლაში პირველი წელი ეთმობა,¹ ოთხწლედის ბოლოსაც კი არ არის მთლიანად დაძლეული. მეოთხე კლასელთა 13% აღნიშნავს, რომ კითხულობს ასო-ასო, ხოლო 29%-ს უჭირს კითხვის დროს ერთი ხაზისთვის თვალის გაყოლება. სავარაუდოა, რომ მოსწავლეთა ამ რაოდენობას მოიცავს ის 38%, რომელიც კითხვის სფეროში ტესტირების შედეგად საშუალოზე დაბალ საფეხურზე და მის მიღმა აღმოჩენილი. სირთულეს ამ შემთხვევაში ქმნის პირველ კლასში მოსულ მოსწავლეთა მომზადების განსხვავებული დონეც – ნაწილი მოსწავლეებისა უკვე კითხულობს (24% წინადადებებს, 33% - სიტყვებს), ნაწილი მხოლოდ ცნობს ასოებს (47%), ხოლო ნაწილმა საერთოდ არ იცის ანბანი (11%).

¹ დღეს ქართულ პედაგოგიკაში არის კითხვის სწავლების ორი მეთოდი: სინთეზურ-ანალიზური და სიმულტანური.

2. მოსწავლეთა კითხვარების მიხედვით, 25%-ს გაცნობიერებული აქვს, რომ მას უძნელდება წაკითხული ტექსტიდან აზრის გამოტანა. მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა წაკითხულის გააზრებისას არსებული პრობლემის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი: მოსწავლეთა 52%-ს მშობლიური ენის სახელმძღვანელოებში წარმოდგენილ ტექსტებში ძალიან ხშირად ხვდება უცნობი სიტყვები. მშობელთა 89% აღნიშნავს, რომ ხშირად უხდება ბავშვისთვის სახელმძღვანელოში ამოკითხული ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის ახსნა (ცხადია, აქ არ იგულისხმება ის ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც სახელმძღვანელოებში ახლავს განმარტებები, რასაც ოთხწლედის მშობლიური ენის წიგნებში ხშირად ვხვდებით). მასწავლებელთა 73% ეთანხმება აზრს, რომ ხარვეზები განპირობებულია სახელმძღვანელოთა ტექსტების ლექსიკური სირთულით. სასწავლო ტექსტები არა მარტო ლექსიკის თვალსაზრისით არის რთული, არამედ ხშირად ეს ტექსტები აგებულია **რთული სინტაქსური კონსტრუქციებით**, ზოგ შემთხვევაში ამა თუ იმ ცნობილი მწერლის სტილის სპეციფიკამაც კი შეიძლება შეუქმნას გარკვეული სირთულე ბავშვს ტექსტის შინაარსის გაგებისას. სირთულეს ქმნის ხშირ შემთხვევაში **ტექსტების დიდი მოცულობაც**. ფსიქოლოგების შენიშვნით, *პატარა მკითხველებს აშინებთ დიდი ტექსტები*. მასწავლებელთა 53% ყურადღებას ამახვილებს ამ ფაქტორზე და აღნიშნავს, რომ არსებული ხარვეზები განპირობებულია ტექსტების დიდი მოცულობითაც. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს სახელმწიფო შეფასების ტესტირების შედეგებიც. მოსწავლეებმა უკეთ გაართვეს თავი საინფორმაციო ხასიათის ტექსტებს, რომლებიც გაცილებით მცირე მოცულობის იყო (დაახლოებით 150 სიტყვა), ვიდრე მხატვრულ ტექსტებს (დაახლოებით 300 სიტყვა), მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები, სასწავლო სახელმძღვანელოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქოს უფრო გაწაფულნი უნდა იყვნენ მხატვრული ტექსტების კითხვაში.

3. მოსწავლეთა კითხვარების სტატისტიკური ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ოთხწლედში წაკითხულის გააზრების შესამოწმებლად ყველაზე ხშირი დავალებაა წაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოცემა თხრობით თუ წერილობითი ფორმით. ნაკლები ყურადღება ეთმობა უშუალოდ ტექსტზე, მის ცალკეულ პასაჟზე, პასაჟებს შორის კავშირებზე მუშაობას, აგრეთვე, ამა თუ იმ ტექსტზე საკუთარი აზრის გამოთქმას და მის დასაბუთებას (მოსწავლეთა 40% აღნიშნავს, რომ მათგან ამას არ მოითხოვენ). შეინიშნება სხვა ტენდენციაც:

მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ნაწარმოების იდეურ მხარეზე, მაშინ, როგორც ეს ტექტირებამ აჩვენა, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ტექსტიდან ექსპლიციტურად, ცხადად მოცემული ინფორმაციის ამოღებას (*ხად, როდის, რატომ* ხდება მოქმედება და მისთ.). ამგვარად, არ მიმდინარეობს ტექსტის გააზრებაზე მეთოდური მუშაობა. ამ საკითხთან დაკავშირებით მასწავლებელთა 85% აღნიშნავს, რომ მათ არ გააჩნიათ თანამედროვე მეთოდური რეკომენდაციები წაკითხულის გააზრებაზე სამუშაოდ.

4. სასწავლო სახელმძღვანელოებს აშკარად აკლია **თემატური მრავალფეროვნება**,² რაც კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ ოთხწლედის დასრულებისას მოსწავლეებს არა აქვთ დაგროვებული ის გამოცდილება, რომელიც ამ ასაკში მათ, წესით, უკვე უნდა ჰქონდეთ. დაწყებით კლასებში მოსწავლე უნდა ეცნობოდეს სხვადასხვა ტიპის ტექსტს. იგი უნდა კითხულობდეს არა მარტო იმიტომ, რომ ისწავლოს, არამედ იმიტომაც, რომ ზოგადად კითხვის მოთხოვნილება გაუჩნდეს, ჩამოუყალიბდეს მხატვრული გემოვნება. ბავშვი უნდა კითხულობდეს სიამოვნებით და არა ძალდატანებით, რაც დღეისათვის ასე არ არის – მოსწავლეთა 66% გულწრფელად აღნიშნავს, რომ კითხულობს მხოლოდ მაშინ, როცა მას დავალებული აქვს. სახელმძღვანელოებში ნაკლებად ვხვდებით თანამედროვე ბავშვისთვის საინტერესო თემაზე დაწერილ ტექსტებს. მიზეზი ამგვარი ტექსტების ნაკლებობაა ქართულ მწერლობაში. 9-10 წლის მოსწავლე მხატვრულ ტექსტებთან ერთად უნდა კითხულობდეს, აგრეთვე, საინფორმაციო ხასიათის ტექსტებს. ამ ტიპის ტექსტები მშობლიური ენის სახელმძღვანელოებში თითქმის არ გვხვდება. ამგვარ ტექსტებს ძირითადად შეიცავს მხოლოდ ბუნების სახელმძღვანელო, რომელიც მოსწავლეთა 41%-ის მიერ ყველაზე რთულ საგნად არის მიჩნეული, ცხადია, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტების სირთულის გამო (ამავე მიზეზით ეს საგანი მხოლოდ მოსწავლეთა 9%-ის მიერ არის მიჩნეული საყვარელ საგნად).

5. დღევანდელ სკოლაში და მთლიანად საზოგადოებაში ნაკლებად არის სტიმულირებული ზოგადად წიგნების კითხვა, ნაკლებად შეინიშნება მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებისთვის ზრუნვა. მოსწავლეთა კითხვარების მიხედვით ირკვევა, რომ მოსწავლეთა 40%-ს სკოლაში შესვლამდე უფროსები წიგნებს არ უკითხავდნენ. მოსწავლეთა 19%-სათვის არასოდეს უყიდიათ წიგნი, ხოლო 57%-სათვის – იშვიათად. მოსწავლეთა 58% აღნიშნავს,

² ეს გამსაკუთრებით ითქმის ვ. რამიშვილის რედ. შედგენილ სახელმძღვანელოზე.

რომ მას არ უთითებენ საკითხავად ე. წ. კლასგარეშე წიგნებს; 65%-ს არასოდეს უსარგებლია ბიბლიოთეკით.³ მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ისინი პროგრამის გადატვირთულობის, დროის სიმცირის გამო ვერ ახერხებენ მოსწავლეებთან საუბარს წიგნებზე, ლიტერატურულ გმირებზე და ა. შ. მოსწავლეთა საკმაოდ დიდი რაოდენობა – 41% მთელი საქართველოს მასშტაბით ენერგეტიკული კრიზისის პირობებშიც კი ტელევიზორის ყურებას დღეში უთმობს 2 საათზე მეტს.

კითხვა – რეკომენდაციები

1. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კითხვის ტექნიკის დაუფლებას. სასწავლო პროცესში აქტიურად და მიზანმიმართულად, ცალკეული ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა იყოს გამოყენებული დეკოდირების სწავლების თანამედროვე ხერხები, რომლებიც სპეციალისტთა მიერ კარგად არის დამუშავებული.⁴ ამ მეთოდიკას კარგად უნდა იცნობდეს დაწესებულებითი კლასების პედაგოგი. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, მასწავლებელთა ნაწილი იყენებს კიდევ ამ მეთოდებს, მაგრამ ამას არა აქვს სისტემური სახე, ხოლო ზოგიერთი მათგანის პასუხში კი აშკარად ჩანს არაკვალიფიციური მიდგომა ამ საკითხის მიმართ. როგორც ჩანს, არ კმარა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება, მასწავლებელი კარგად უნდა იყოს დაუფლებული მეთოდურ სიახლეებს. ცხადია ისიც, რომ ამგვარი მეთოდების გამოყენება შესაძლებელი და ეფექტურია მოსწავლეთა შედარებით მცირე რაოდენობის ჯგუფებში და არა მრავალრიცხოვანი ბავშვებისაგან შემდგარ კლასებში. განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში საჭიროდ უნდა ჩაითვალოს ფსიქოლოგის ჩარევაც. გადასაწყვეტი და მოსაგვარებელია, აგრეთვე, წინასასკოლო ასაკის ბავშვების ერთიანი მომზადების საკითხი, რამაც ნაწილობრივ მაინც შეიძლება მოხსნას პირველ კლასში მოსწავლეთა მომზადების განსხვავებული დონით გამოწვეული პრობლემები.

2. სასწავლო სახელმძღვანელოებისათვის განკუთვნილი საკითხავი ტექსტები უნდა შეირჩეს ოთხწლედის სპეციალისტებისა და ბავშვთა ფსიქოლოგების მიერ დადგენილი გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მოსწავლის ასაკობრივი მონაცემები და თავისებურებები. ტექსტების ძირითადი ნაწილი **ენობრივად** (ლექსიკა, სინტაქსი) და **მოცულობით** უნდა

³ აქ ძირითადად ვვერდნობით მოსწავლეთა კითხვარების მონაცემებს. ანალოგიური კითხვები შეტანილია მასწავლებელთა კითხვარშიც, რომელთა მონაცემები არ ემთხვევა მოსწავლეებისას.

⁴ ეს მეთოდიკა კარგად არის დამუშავებული თსუ ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრის სპეციალისტთა მიერ.

შეესაბამებოდეს მოსწავლის შესაძლებლობებს. ტექსტები მართლწერის თვალსაზრისით აუცილებლად უნდა იყოს გამართული თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით. **თემატიკა** უნდა იყოს თანამედროვე ბავშვისათვის საინტერესო, სახალისო. ამ მიზნით შეიძლება ჩატარდეს მოსწავლეთა გამოკითხვა და მათი განწყობის შესწავლა. ეს, როგორც ცნობილია, კითხვის მოტივაციის გაზრდის ერთ-ერთი გზაა. მხატვრულ ტექსტებთან ერთად სახელმძღვანელოებში უნდა იყოს შეტანილი საინფორმაციო ხასიათის ტექსტებიც. ქართულ პედაგოგიკაში, როგორც ცნობილია, არსებობს ასეთი ტრადიცია: იაკობ გოგებაშვილის *დედა ენაში* მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სწორედ ამგვარ ტექსტებს, მაგალითად, „როგორ შეიქმნა წიგნი, ქაღალდი?“ „რა სიკეთეს გვიშვრება ქარი“, „როგორ იცავს თავს ადამიანი ვაცებისაგან“ და ა. შ. რაც შეეხება მხატვრულ ტექსტებს, ისინი უანრობრივად და ფორმით მრავალფეროვანი უნდა იყოს. პატრიოტულ-ჰეროიკულ თემატიკას, რომელსაც ჭარბად ვხვდებით დღევანდელ სახელმძღვანელოებში, უნდა დაემატოს, მაგალითად, ისეთი თემები, როგორიცაა: ურთიერთობები თანატოლებთან და უფროსებთან, ბუნების სიყვარული და დაცვა, და ა. შ. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ ტექსტებს, რომლებშიც არის სიუჟეტი, გადმოცემულია ამბავი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ მწერლობაში ამგვარი ტექსტების დიდი არჩევანი არც არის. აღსანიშნავია ისიც, რომ ცნობილი ქართველი მწერლების იმ ნაწარმოებებსაც კი, რომლებიც საბავშვო მწერლობის ნიმუშებად არის მიჩნეული, მომზადებული, გაწაფული მკითხველი სჭირდება. *კითხვაში* დღეისათვის არსებული პრობლემებისა და ხარვეზების არსებობის პირობებში შესაძლებლად მიგვაჩნია ამ ტიპის ტექსტების ფრთხილი ადაპტირებაც (ვგულისხმობთ იმგვარ ადაპტაციას, რომელსაც მიმართავენ დაწყებით კლასებში სულხან-საბა ორბელიანის იგავთა სწავლებისას). ამ პრობლემის გადასაჭრელად შესაძლებელია ჩატარდეს კონკურსები გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით თანამედროვე საბავშვო მოთხრობების შესაქმნელად. სახელმძღვანელოებში შესაძლებელია ნათარგმნი საბავშვო მწერლობის ნიმუშების გამოყენებაც, რასაც ქართულ პედაგოგიკაში მკვიდრი ტრადიცია აქვს. როგორც ცნობილია, იაკობ გოგებაშვილი თავისი *დედა ენის* შედგენისას ხშირად მიმართავდა ტექსტის გადმოქართულების ხერხს. მაგალითად, მან რუსულიდან გადმოიღო ცნობილი „თხა და გიგო“, „ორი სახნისი“, „მენავეები“, გერმანულიდან – „ხეების ბაასი“, „მწყერი და ღამურა“, „ერთი და ორი“, ჩართო *დედა ენაში* ესოპეს იგავები და ა. შ. 21-ე საუკუნის ქართველი ბავშვის თვალსაწიერის გაფართოებისათვის

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იცოდეს, თუ რას კითხულობენ მისი თანატოლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

3. მასწავლებლებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია კითხვის (იგულისხმება წაკითხულის გააზრება) უნარის შემოწმების თანამედროვე მეთოდების შესახებ – ტექსტის გააზრებისას რა მოეთხოვება მოსწავლეს დაწყებითი სწავლების ცალკეულ საფეხურზე, რა ტიპის კითხვები უნდა დაუსვან მოსწავლეს კითხვის ამა თუ იმ სააზროვნო პროცესისა თუ მოქმედების (იდენტიფიკაცია, პროდუცირება, თავისუფალი პროდუცირება)⁵ შესამოწმებლად და ა. შ. ხარვეზები, რომლებიც კითხვის უნარის შემოწმებისას გამოვლინდა, შეიძლება დაიძლოს მიზანმიმართული ვარჯიშით. სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ტექსტებს უნდა დაერთოს სპეციალურად დამუშავებული შეკითხვები. ამასთანავე მასწავლებელმა თეორიულადაც უნდა იცოდეს, თუ წაკითხულის გააზრების რომელ ასპექტს ამოწმებს ცალკეული შეკითხვა, რათა თავადაც შეძლოს, დასვას სხვადასხვა ტიპის შეკითხვა, განსაზღვროს, რომელ მოსწავლეს რა კუთხით აქვს ხარვეზი და ამის გათვალისწინებით იმუშაოს კლასთან. ამგვარი მიზანმიმართული მუშაობა, თავის მხრივ, კარგი საშუალებაა მიღწევის სხვადასხვა დონის მქონე მოსწავლეების ინდივიდუალური განვითარებისათვის – გაკვეთილზე ადვილი და რთული კითხვების მონაცვლეობით მასწავლებელს მიეცემა საშუალება თანაბრად ჰყავდეს ჩართული კითხვაში (წაკითხულის გააზრებაში) როგორც სუსტი, ისე ძლიერი მოსწავლეები. შევნიშნავთ, რომ ისეთ მოქმედებებთან ერთად, როგორც არის იდენტიფიცირება და პროდუცირება, ყურადღება უნდა მიექცეს თავისუფალ პროდუცირებასაც – საკუთარი აზრის გამოთქმას წაკითხულთან დაკავშირებით. მართალია, ტესტირებისას ამ ტიპის კითხვებს ლოგიკური პასუხი გასცეს მხოლოდ მიღწევის დონის მაღალ საფეხურზე მყოფმა მოსწავლეებმა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თითქმის არც ერთ ბავშვს ამ ტიპის შეკითხვები უპასუხოდ არ დაუტოვებია. აშკარად გამოვლინდა, რომ მოსწავლეებს ამ ასაკში თვითგამოხატვის დიდი სურვილი აქვთ, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

4. რადგან მკითხველის, შესაბამისად პიროვნების ჩამოყალიბება იწყება სწორედ ადრეულ ასაკში, მეტად მნიშვნელოვანია სხვადასხვა დონისძიების დაგეგმვა დაწყებით კლასებში მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებისათვის.

⁵ თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით, 9-10 წლის მოსწავლეს უნდა შეეძლოს: (1) ტექსტში ექსპლიციტურად, ცხადად მოცემული ინფორმაციის პოვნა, (2) ტექსტის მონაკვეთებს შორის კავშირის დანახვა, (3) ტექსტის მთლიანობაში გააზრება და დასკვნის გამოტანა, (4) ტექსტის ენობრივი სპეციფიკის, მხატვრული ხერხების გააზრება. წაკითხულის გააზრების პროცესების შესახებ დეტალურად იხ. *სახელმწიფო შეფასება ქართულ ენაში* (I-IV კლასები), 2004.

სასურველია, ამ ეტაპზე სპეციალისტებმა (და არა მხოლოდ მასწავლებლებმა) მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით შეადგინონ კლასგარეშე საკითხავი წიგნების ნუსხა, რომელშიც ქართველი მწერლების თხზულებებთან ერთად შევა ცნობილი უცხოური საბავშვო ნაწარმოებების კარგი თარგმანები (გამსაკუთრებელი ყურადღება უნდა მიექცეს თარგმანის ხარისხს). მოსწავლეს ადრეული ასაკიდანვე უნდა გამოუმუშავდეს ბიბლიოთეკაში მუშაობის ჩვევა, რასაც ხელს შეუწყობს სასკოლო და ადგილობრივი ბიბლიოთეკების ამუშავება (მასწავლებელთა 26% აღნიშნავს, რომ არა აქვთ სასკოლო ბიბლიოთეკა). მასწავლებლებს უნდა მიეცეთ დრო და საშუალება, მიუთითონ, თუ რა წიგნები წაიკითხონ ბავშვებმა, ესაუბრონ ბავშვებს წაკითხული წიგნის შესახებ. ბავშვებს კი უნდა ჰქონდეთ თავისუფალი დრო წიგნების საკითხავად. მშობელთა კითხვარების მიხედვით ირკვევა, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი ძირითად დროს უთმობს გაკვეთილების მომზადებას და კითხვისათვის დრო აღარ რჩება. დღეისათვის წიგნის ბაზარი საკმაოდ მდიდარია კარგად ილუსტრირებული საბავშვო წიგნებით, თუმცა, როგორც მშობელთა, ისე მასწავლებელთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ეს წიგნები მიუწვდომელია ბევრი ოჯახისათვის. აქ შეიძლება გაზიარებულ იქნას უცხოეთის გამოცდილება – ძვირადღირებული გამოცემების გვერდით შესაძლებელია თხელყდიანი უფრო ხელმისაწვდომი გამოცემების მომზადება (ამის კარგი პრეცედენტია „ბარონ მიუნ ჰაუზენის თავგადასავლის“ ორი ბოლოდროინდელი გამოცემა – 10 ლ. და 3 ლ.). მოსწავლეთა შორის სტიმულირებული უნდა იყოს წიგნის ჩუქება. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, წიგნის ყველაზე დიდი კონკურენტი დღეს საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, არის ტელევიზია და კომპიუტერული თამაშები. განათლების სამინისტროს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, შეუძლია გარკვეული ინიციატივებით გამოვიდეს ამ საკითხთან დაკავშირებითაც: მაგალითად, მომზადდეს ბუკლეტები მშობლებისა და მოსწავლეებისათვის ტელევიზორის ხანგრძლივად ყურების, განსაკუთრებით კი კომპიუტერული თამაშების მავნებლობის შესახებ, სკოლებთან ახლოს კომპიუტერული თამაშების ცენტრების განთავსების აკრძალვის შესახებ და ა. შ.

II. ლექსიკა – ძირითადი ხარვეზები და მათი გამომწვევი მიზეზები

1. როგორც ცნობილია, ხარვეზები კითხვის სფეროსა და ლექსიკაში მჭიდრო კავშირშია. ლექსიკური მარაგი განაპირობებს ტექსტის გააზრების სრულყოფილებას. თავის მხრივ, კითხვა ხელს უწყობს ლექსიკური მარაგის

გამდიდრებას. სახელმძღვანელოებში შეტანილი ცნობილი ქართველი მწერლების ნაწარმოებები მდიდარ ლექსიკურ მასალას შეიცავს. მაგრამ აშკარაა, რომ ამ ტექსტების სწავლების შედეგად მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი არ მდიდრდება – მოცემული მხატვრული ტექსტების შესწავლით ვერ ხერხდება ტექსტებში მოცემული ლექსიკის მოსწავლის მეტყველებლებაში (როგორც ზეპირ, ისე წერით) გაცოცხლება, ამოქმედება. ლექსიკის სფეროში გამოვლენილი ამ ხარვეზის მიზეზად მასწავლებლები (73%) სახელმძღვანელოთა ტექსტების **განსაკუთრებულ ლექსიკურ სირთულეს** ასახელებენ. მათი აზრით, ტექსტები გადატვირთულია ისეთი ლექსიკური ერთეულებით, რომელთა უმეტესობის მნიშვნელობა, მიუხედავად მშობლიური ენისა, დღევანდელი ბავშვისათვის არ არის ცნობილი და მათი დიდი რაოდენობით და ერთბაშად დამახსოვრება და გათავისება ამ ასაკის მოსწავლისათვის დიდ სირთულეს წარმოადგენს. ამ პრობლემას ვერ ჭრის ტექსტებზე დართული სალექსიკონო ნაწილი. ზოგ შემთხვევაში ერთი უცნობი ლექსიკური ერთეული ახსნილია ამ ასაკის ბავშვისათვის ასევე რთული სიტყვით თუ ფრაზით. მასწავლებელთა ეს ნაწილი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ უშუალოდ ლექსიკაზე მუშაობისათვის დრო არ რჩებათ. სახელმძღვანელოებში, განსაკუთრებით ვ. როდონიას რედ. შედგენილ წიგნებში, მართალია, არის ლექსიკური სავარჯიშოები, მაგრამ, მათი შენიშვნით, არასაკმარისი რაოდენობით.

2. ყოფითი ლექსიკის შესწავლამ გამოავლინა, რომ ოთხწლედის დასრულებისას მოსწავლეთა მეტყველებაში ჯერ კიდევ არ არის დაძლეული **დიალექტიზმი**. მეტიც, ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად, სამეგრელოში, მოსწავლეთა კითხვარში დასმულ შეკითხვაზე – რამდენ ენაზე საუბრობთ ოჯახში? – გაცემულია პასუხი – ერთზე, – და იგულისხმება მეგრული.

3. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა სასაუბრო ენა გადატვირთულია **ბარბარიზმებით**. მეოთხე კლასელთა მხოლოდ 12% საუბრობს სუფთა ქართულით. ამის მიზეზი არის ის, რომ დღევანდელი სასწავლო პროგრამის მიხედვით კარგად არ არის დაგეგმილი ყოფით ლექსიკაზე მუშაობა. ალბათ სახელმძღვანელოთა ავტორები გულისხმობენ, რომ მშობლიურ ენაში ლექსიკის ამ სფეროში პრობლემები არ უნდა იყოს და ამ კუთხით მოსწავლეები არ საჭიროებენ სპეციალურ განსწავლას. დღევანდელ პირობებსა და გარემოში, როგორც ჩანს, ყოფითი ლექსიკის სფერო განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად უნდა იქცეს თვით სასწავლო პროცესში.

ლექსიკა – რეკომენდაციები

1. უნდა შემუშავდეს მოსწავლეთა ყოფითი ლექსიკის დახვეწის მეთოდი. ვფიქრობთ, მდგომარეობას გააუმჯობესებს შესაბამისი თემების მიხედვით ლექსიკური ჯგუფების შედგენა და სწავლება (მაგალითად, *ავეჯი, ჭურჭელი, სამოსი, სასწავლო ნივთები* და ა. შ.). აუცილებელია წვრთნა და ვარჯიში ამ მიმართულებით, რათა მოცემული ლექსიკური ერთეულები ცოცხალ მეტყველებაში ამოქმედდეს. მიზანშეწონილია ამ შემთხვევაში ნახატების გამოყენებაც. ასევე სასურველია, მოსწავლეებს გავაცნოთ სასაუბრო ენის დიალოგები სხვადასხვა სიტუაციის მიხედვით – საუბარი თანატოლთან, უფროსთან, უცნობთან და ა. შ. ერთი შეხედვით ეს უცხოური ენის შესწავლის მეთოდს ემსგავსება, მაგრამ ამ მხარის უგულვებელყოფამ აშკარად დიდი ხარვეზი გამოიწვია დღევანდელი 9-10 წლის ბავშვის ლექსიკაში, მის მეტყველებაში. მოსწავლის ლექსიკასა და ზოგადად მეტყველების დახვეწა უნდა მოხდეს არა მარტო ნასწავლი ტექსტის მოყოლით, არამედ მოსწავლეს უნდა მიეცეს საშუალება, გაკვეთილზე ისაუბროს სხვადასხვა თემაზე.

2. გარდა სასაუბრო ენის დახვეწისა, ოთხწლედში უნდა ვიზრუნოთ მოსწავლის წიგნიერი მეტყველების განვითარებაზე. მოსწავლის ლექსიკის სრულყოფა იმ მხატვრული ტექსტების საშუალებით უნდა ხდებოდეს, რომლებსაც ის სწავლობს. ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი ხერხი დღევანდელ სკოლაში არის სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის თხრობით დასწავლა (ე. წ. ტექსტთან ახლოს დასწავლა), ან ზოგ შემთხვევაში დახეპირებაც (მოსწავლეებს ხშირად აქვთ დავალებად ზეპირად დასასწავლი მხატვრული პასაჟი პროზაული ტექსტიდან, რომელსაც, შემოწმების მიზნით, ხშირად კლასში აწერინებენ კიდევც), რასაც, როგორც ვნახეთ შედეგი არ მოაქვს. როგორ უნდა მივადწიოთ იმას, რომ ბავშვის მეტყველება გამდიდრდეს? ამისათვის საჭიროა, სპეციალისტთა მიერ განისაზღვროს სალიტერატურო ენის ათვისების, ლექსიკური მარაგის გამდიდრების სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ამ ასაკის ბავშვისათვის ლექსიკური მასალის შერჩევას და თანდათანობით მიწოდებას, ლექსიკის გამდიდრებისათვის, ენობრივი ალღოს განვითარებისათვის სპეციალურ ვარჯიშს – მოცემული ლექსიკური ერთეულების გამოყენებით წინადადებების და მოთხრობების შედგენას, მყარი სემანტიკური წყვილების ამოცნობას, ერთი სემანტიკური ველის სიტყვებში მნიშვნელობათა სხვაობის

შენიშვნას და წინადადებაში მათი ადგილის განსაზღვრას, გვარისა და სახეობის პრინციპით სიტყვათა დაჯგუფებას და ა. შ.

III. წერა – ძირითადი ხარვეზები და მათი გამომწვევი მიზეზები

ეროვნული შეფასების შედეგების ანალიზმა გამოავლინა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზები მოსწავლეებს წერით მეტყველებაში აქვთ. მოსწავლეთა მხოლოდ 14% ახერხებს აზრის გამართულად, მწყობრად, სრულად გადმოცემას როგორც წაკითხული ტექსტის შინაარსის, ისე თხზულების წერისას.

1. კითხვარებიდან ირკვევა, რომ მასწავლებელთა 86% წერის სწავლების ძირითად დავალებად წაკითხულის შინაარსის დაწერას მიიჩნევს. სახელმძღვანელოს შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში, ეს არის დიდი მოცულობის ტექსტები, რომელთა მოკლე შინაარსის გადმოცემა საკმაოდ რთული ამოცანაა 9-10 წლის ბავშვისათვის. როგორც მშობელთა გამოკითხვის შედეგად ირკვევა, ასეთ დროს ისინი იძულებული არიან თავად დაწერონ, ან სხვას დააწერინონ დავალება, რაც, რა თქმა უნდა, ბავშვის წერის უნარის განვითარებას არაფერს სძენს და თანაც ურყევს წარმოდგენას ზნეობრივი ნორმების შესახებ.

2. მასწავლებელთა მხოლოდ 46% აძლევს დავალებად მოსწავლეებს ე. წ. თავისუფალ თემებს. ამ ტიპის სამუშაოს შეფასებისას, ძირითადად, მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ ნაშრომის ორიგინალურობაზე. რა თქმა უნდა, ეს თავისუფალი თემის მნიშვნელოვანი მხარეა, თუმცა ორიგინალურობის შეფასების კრიტერიუმში ძალიან პირობითია (საკითხავია, ვინ რას მიიჩნევს ორიგინალურად) და ამასთანავე ორიგინალურობა არ შეიძლება მოვთხოვოთ ყველას. ამ დროს ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს სათქმელის, აზრის სწორად, გამართულად, წიგნიერად გადმოცემაზე.

3. ოთხწლედში წერის უნარის განსავითარებლად არ მიმართავენ სხვადასხვა ხასიათის ტექსტების შექმნაზე მუშაობას. 9-10 წლის ბავშვს უკვე უნდა შეეძლოს სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების, მაგალითად, წერილის, ბარათის შედგენა.

4. წერის უნარის განვითარებაში სათანადო ადგილი არ ეთმობა მართლწერისათვის ისეთ მნიშვნელოვან სამუშაოს, როგორც არის შეცდომებით დაწერილი ტექსტის გასწორება. მასწავლებელთა მხოლოდ 44% მუშაობს კლასში ამ კუთხით.

წერა – რეკომენდაციები

1. წერის უნარის განვითარებისათვის საჭიროა სასწავლო პროცესში სხვადასხვა ტიპის წერითი დავალებების შემოღება – სხვადასხვა ხასიათის ტექსტების შექმნაზე მუშაობა. ტრადიციულ დავალებებსა და მათ შეფასებაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, მოსწავლეს უნდა დაევალოს შედარებით მოკლე ტექსტების შინაარსის გადმოცემა.
2. ძირითადი მოთხოვნა თავისუფალი თემის წერისას უნდა იყოს საკუთარი აზრის მწყობრად, გამართულად გადმოცემა, აზრის გაშლა, გავრცობა, ადეკვატური ლექსიკის გამოყენება, ამა თუ იმ აზრის დასაბუთება, აზრის დასაბუთების მიზნით მაგალითის მოტანა და ა. შ. რა უნდა შეძლოს 9-10 წლის მოსწავლემ ამ კუთხით, ეს სპეციალისტებისა და ფსიქოლოგთა გადასაწყვეტია.
3. წერის უნარის გასავითარებლად ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ სამუშაოზე, როგორცაა შეცდომების გასწორება. როგორც ცნობილია, მოსწავლეები განსაკუთრებული ხალისით ეკიდებიან ამ ტიპის სამუშაოს (შესაძლებელია უკვე მე-4 კლასში მოსწავლეებმა ერთმანეთის ნაწერებიც გაასწორონ). გასწორება უნდა ეხებოდეს არა მარტო ნაშრომის ენობრივ მხარეს, არამედ შინაარსობრივსაც.
4. წერის უნარის განვითარების მიზნით, როგორც მასწავლებელთა, ისე მშობელთა მიერ სტიმულირებული უნდა იყოს მოსწავლეებში ჩანაწერების გაკეთება, დღიურების შედგენა, ერთმანეთისათვის წერილების მიწერა და მისთ.

IV. გრამატიკა – ძირითადი ხარვეზები და მათი გამომწვევი მიზეზები

გრამატიკის სფეროში გამოვლენილი ხარვეზები ძირითადად ორი ფაქტორით არის განპირობებული: ერთია გრამატიკული მასალის მოცულობა და სირთულე, ხოლო მეორე – დღევანდელ სკოლაში გრამატიკის სწავლების მეთოდი. გრამატიკის სასწავლო კურსი ცალკე წიგნებად ახლავს ვ. რამიშვილის რედაქციით შედგენილ II-III-IV კლასების მშობლიური ენის სახელმძღვანელოებს, სადაც გრამატიკის კურსი სისტემური სახით არის წარმოდგენილი და მოიცავს გრამატიკის თეორიის საკითხებს. ვ. როდონაიას რედაქციით შედგენილ სახელმძღვანელოებში ლიტერატურისა და გრამატიკის კურსი ინტეგრირებულია და ყურადღება გამახვილებულია გრამატიკის ამა თუ იმ საკითხის პრაქტიკულ ცოდნაზე. *სახელმწიფო შეფასებამ* არ მოგვცა შესაძლებლობა, გაგვემიჯნა, რომელი მეთოდით სწავლება აღმოჩნდა უფრო ეფექტური, რადგან, როგორც გამოკითხიდან გაირკვა, იმ მასწავლებელთა უმრავლესობა, რომელიც ვ.

როდონიას სახელმძღვანელოთი ასწავლის *მშობლიურ ენას*, დამატებით ვ. რამიშვილის გრამატიკის სახელმძღვანელოსაც იყენებს. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა 94% გრამატიკის ცოდნის გასაუმჯობესებლად მიმართავს წესების დასწავლას, თუმცა მასწავლებელთა 64% მიიჩნევს, რომ თეორიული გრამატიკის სწავლება – წესების დასწავლა – არსებული ხარვეზის ერთ-ერთი მიზეზია და, მათი აზრით, გრამატიკის ეს სახელმძღვანელო ცვლილებებს მოითხოვს. ხარვეზების მიზეზთა შორის პედაგოგები გამოყოფენ, აგრეთვე, პრაქტიკული ცოდნის შესაძენი სავარჯიშოების სიმცირეს და გრამატიკული მასალის გარკვეული ნაწილის სირთულეს, მაგალითად, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხების ერთდროულად შესწავლას, აგრეთვე, გრამატიკული ტერმინების (ზმნიზედა და მისი სახეობები) დასწავლას.

გრამატიკა – რეკომენდაციები

ოთხწლედში გრამატიკის სწავლება სისტემური კურსის მიხედვით რთული და არაეფექტურია. ამ ასაკის მოსწავლეებში თანამედროვე ენის გრამატიკის ელემენტების სწავლება ძირითადად უნდა ემსახურებოდეს მართლწერის და სწორი მეტყველების ჩამოყალიბებას. ოთხწლედის დასრულებისას მოსწავლეს უკვე ჩვევად უნდა ჰქონდეს ქცეული მართლწერის ისეთი ძირითადი წესების დაცვა, როგორცაა თხრობითი წინადადების ბოლოს წერტილის დასმა, ზმნიზედის და რიცხვითი სახელების მართლწერა და ა. შ. (ეს დეტალურად უნდა განსაზღვრონ საგნის სპეციალისტებმა და ფსიქოლოგებმა). ეს კი მიღწეული უნდა იყოს არა გრამატიკული ტერმინოლოგიისა და წესების შესწავლით, არამედ პრაქტიკული სავარჯიშოებით. სიცხადისათვის ერთ მაგალითს მოვიტანთ: *შეფასების* შედეგად გამოვლინდა, რომ მეოთხე კლასელი მოსწავლეები წერითი მეტყველების დროს საკმაოდ ხშირად იყენებენ რთულ ქვეწყობილ წინადადებებს, მაგრამ ძალიან იშვიათად სვამენ სწორად ამ წინადადებაში მძიმეს. დღეისათვის გრამატიკის კურსის მიხედვით რთულ წინადადებას და მასთან დაკავშირებულ პუნქტუაციის წესებს სწავლობენ მე-8 კლასში. ამდენად, მე-8 კლასამდე მასწავლებელთა დიდი ნაწილი შეცდომად არ უთვლის მოსწავლეს სათანადო მაქვემდებარებელი კავშირის შერჩავას და მძიმის უგულვებელყოფას, თუ არასწორად გამოყენებას ამ კავშირებთან (რომ / რადგან, იმიტომ ...). შესაბამისად, რადგან თავიდანვე ამ პრობლემას ყურადღება არ ექცევა, მე-8 კლასში უკვე გაძნელებულია ამ ხარვეზის აღმოფხვრა. მიზანშეწონილად მოგვაჩნია, უკვე დაწყებით კლასებში ამ პრობლემის

მოგვარება კითხვისას ინტონაციაზე ყურადღების გამახვილებით და პრაქტიკული საგარჯიშოებით. რაც შეეხება გრამატიკის თეორიულ საკითხებს, მათი სწავლების ეფექტურობის საკითხი სწავლების ზედა საფეხურებზეა განსახილველი.

დასკვნა:

ამგვარად, დღევანდელ პირობებში მშობლიური ენის სწავლებაში არსებული ხარვეზების დასაძლევად მიზანშეწონილია:

- ოთხწლედში სასწავლო პროგრამის განტვირთვა იმ მასალისაგან, რომელიც სირთულით აღემატება 9-10 წლის ბავშვის შესაძლებლობებს.
- იმ მოთხოვნათა გადასინჯვა, რომლებიც დღევანდელ სკოლაში დგას მოსწავლის წინაშე და ამ მოთხოვნათა მისადაგება მოსწავლის შესაძლებლობებთან;
- სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა და ამ კუთხით დაწყებითი კლასების პედაგოგების მომზადება.

ვფიქრობთ, ახალი სასწავლო სტანდარტის შედგენისას – იმის გადაწყვეტისას, თუ რა ტიპის მასალისაგან უნდა განიტვირთოს სასწავლო პროგრამა, იმის განსაზღვრისას, თუ რა შეიძლება მოვთხოვოთ დღეს მოსწავლეს ოთხწლედში, *სახელმწიფო შეფასების* შედეგების გათვალისწინება სასარგებლო აღმოჩნდება.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კონსულტანტები:

ნინო გორდელაძე

თამარ ოთხმეზური